გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკია 'ში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვ ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 · სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი · 1877—1893


## „ივერია“

გამოდის 1893 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1893 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თვითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთ-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის ხვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.


მიიღება ხელის მოწერა

მომავალ 1894 წლის ქართულ ჟურნალ

„მოამბე“-ზე.

| | წელიწადში | 6 თვ. | 3 თვ. |
|---|---|---|---|
| ფასი გაგზავნით კავკასიისა და რუსეთის ქალაქებში | 10 მან. | 6 მან. | 4 მან. |
| საზღვარ გარეთ | 13 „ | 7 მ. 50 კ. | 5 „ |

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან შემოიტანოს: 1 იანვრამდე 4 მ., 1 მაისამდე 3 მ. და 1 სექტემბრამდე 3 მ.

ჟურნალზე ხელის მოწერა მიიღება ტფილისში „წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის“ კანტორაში, ლორის-მელიქოვის ქუჩა, №13.

ქალაქს გარეთ მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, въ Редакцію „Моамбе“.

## საკომერციო კურსები

### ქალებისა და ვაჟებისათვის

წელი მეთორმეტე

კურსებისს დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შეძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1893—94 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქმნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია მარტივი, ორ-კეცი და საბანკო 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერაა 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი.

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდამ. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩაზე, აფთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიმართოს კურსების დამაარსებელს პ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—23)



ა. რალლე და კომპ.

მის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის კარის იჯარადარნი.

აპონურ საპონ

„მუსმე“

მხოლოდ ჩვენ შეგვიძლიან ამ საპნის კეთება, პრივილეგია გამოცხადებულია № 1026-ით.

ისყიდება ყველა რუსეთის ქალაქებში.


ჟურნალ „მოამბეს“ განცხადება იხილე მეოთხე გვერდზე.

სამშაბათს, 12 ოქტომბერს, დანიშნულია კრება კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებისა.

საგანი კრებისა:

ა) მორიგი საქმე (კრებათა დანიშვნისა და სხვა საქმეთა შესახებ, რომლებზედაც ლაპარაკი ჰქონია საზოგადოებას ზაფხულის ვაკაციებამდე და სხვ.) ბ) განხილვა ბ-ნ ტიმოფეევის მოხსენებისა „ბაქოსა და განჯის გუბერნიებში ძირტკბილას მოყვანის შესახებ“.

კრებას არა წევრთაც შეუძლიანთ დაესწრნენ.

## ახალი ამბავი

*** ხვალ, 13-ს ოქტომბერს, ქალაქის სამკურნალოში მოხდება კრება კავკასიის ფარმაცევტთა საზოგადოებისა.

*** ს. ტყიბული, 3 ოქტომბერი: აქციონერთა საზოგადოების ქვის ნახშირის მადანში გაცხარებული მუშაობაა. ახალი ინჟენერი ბ-ნი ა. ბეგზადოვი მოსვლისათანავე დიდის მეცადინეობით შეუდგა ცეცხლის გაქრობას, ახალი მღვიმე-მაღაროების და ნახშირის ჩამოსაყრელ მილების კეთებას. ცეცხლი თუმცა-ღა ჯერ არ გამქრალა, მაგრამ, ყოველი გზა შეკრული აქვს და მისი გაძლიერება საფიქრებელი არ არის. მუშაობა დაიწყო, მაგრამ ამ ადგილებიდგან გამოზიდული ნახშირი ვერ დააკმაყოფილებს ამ ზამთარში ხალხის მოთხოვნილებას, თუ მადნის მეორე მხარესაც არ შეუდგნენ მუშაობას.

ეხლავე ყოველ კუთხიდგან დიდძალ ნახშირსა თხოულობენ. მარტო ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმართველობა თხოულობს ამ ზამთრისათვის ერთ მილიონ ფუთამდე ნახშირს. ეხლა ტფილისი, ბაქო, ბათუმი, ქუთაისი და სხვები სთქვით. ამ ორი-სამის წლის განმავლობაში ხალხი ისე შეეჩვია ნახშირის ხმარებას, რომ შარშან ზამთარში ქუთაისში 15 კაპ. იძლეოდნენ ფუთ ნახშირში და გასასყიდი-კი არ მოიპოვებოდა.

*** დ. ხობი: ამას წინად სამმა ყაჩაღმა გამოინადირა. ყაჩაღებს შეხვედრია გზაზედ ერთი ადგილობრივი მცხოვრები, ტომით რუსი. იმათ დაუჭერიათ ეს რუსი, უკან შემოუსვავთ ცხენზედ და წაუყვანიათ სხვა-და-სხვა სახლების საჩვენებლად. შემდეგ ამისა რუსი დაუტოვებიათ უვნებლად ერთ მიყრუებულ ადგილს ტყეში.

რუსმა ყველაფერი უამბო ადგილობრივ მოხელეებს. შემდეგ რამდენჯერმე კიდევ გამოჩნდნენ იქვე ახლო ტყეში ავაზაკები და არა ერთი ქალი და კაცი შეაშინეს. დღესაც შიშის ზარი გვცემს.

*** კასპი: 10 ოქტომბერს საქონლის მატარებლიდგან ნავთის ვაგონიდგან გადმოვარდა კონდუქტორი, სოფელ მეჯვრისხევის მცხოვრებელი (გორის მაზრა) ნიკო ნოვამაძე, რომელიც მოჰყვა ვაგონის ბორბლებს და სული იქვე განუტევა. საწყალს ცოლი და წვრილშვილი დარჩა, ყოვლად საზრდოს მოკლებული.

*** სამეგრელო (სოფელი ხეთა): ყურძნის მოსავალი წელს მეტია შარშანდელზედ. უფრო მეტი იქნებოდა, რომ სექტემბერში გაძლიერებულ ზენა ქარს ყურძენი ძირს არ ჩამოეყარა.

იმედია, სიმინდი წრეულს შარშანდელზედ ერთი-ორად მეტი იქნება.

ერთმა გაჭირებამ ძრიელ ხელი შეუშალა მუშა ხალხს. ეს სამი თთვეა აგერ, რაც ხეთის მიწა-ადგილების გამიჯვნა დაიწყეს და ჯერ ბოლო არ უჩანს. ერთი არეულობა ასტყდა და ხალხი სამუშაოსა სცდებოდა.

*** ბოჟი-პრომისლი, 9 ოქტომბერს: წარსულის თთვის 14-ს შემახიიდგან მოუვიდა სალიანში ჯევათის მაზრის ადმინისტრაციას დეპეშა, რომ ავაზაკებმა (18-კაცმა) აიკლეს ჩვენ მაზრაში ერთი სოფელი და თქვენკენ წამოვიდნენო. ამ ამბავმა ფეხზედ დააყენა მთელი პოლიცია. მსწრაფლ უბძანეს მამასახლისებს, გამოუყენეთ შეიარაღებული ცხენოსანი ხალხი მდევრად და დააყენეთ ყარაულები ბოჟი-პრომისლშიო. მობძანდა მაზრის უფროსის თანაშემწე და აქედგან ბოქაული და ოცდა ათი თუ ორმოცი ცხენოსანი წავიდა ბანკის ვატაგაზედ, რომ დაეთვალიერებინათ იქაურობა და შეეკრათ გზა. აქ რომ ვერა ნახესრა, დასტოვეს რამდენიმე ყარაული და თითონ-კი წავიდნენ უკან სხვა ადგილების დასათვალიერებლად, მაგრამ ვერსად ვერა ნახეს, ავაზაკები გაჰქრენ.

### მთავრობის განკარგულებანი

იუსტიციის მინისტრმა გარდასცა უმართებულესს სენატს გამოსაცხადებლად ხელმწიფე იმპერატორის მიერ 20 სექტემბერს ამ 1893 წ. დამტკიცებული ახლად შემუშავებული, შეცვლილი და დამატებული კანონები: 1) კანონების დამატება, ერთი წიგნი; 2) ახალი გამოცემა: კანონთა V წიგნისა (ხარჯთა და გარდასახადთა), VII წიგნი (ფულის მოჭრისა და სამთო კანონი), I ნაწილი VIII წიგნისა (ტყისა და იჯარების კანონი), მე-2 ნაწილი X წიგნისა (გამიჯვნის კანონი), მე-2 ნაწილი XI წიგნისა (კრედიტისა, ვექსელებისა, ვაჭრობისა, კონსულებისა და მრეწველობის კანონი) და იმავე წიგნის განყოფილება მეურნეობისა, მოჯამაგირეობისა და ტრაკტირის კანონისა; და 3) XI წიგნის I ნაწილი საერო განათლების შესახებ.

### კორესპონდენცია

(შემდეგი *)

ზემანი. 32, გოგაძე. 30 კომლი. ძველად დიდი სოფელი ყოფილა. თათრობის მიღების გამო აქ ძლიერ ეურჩებოდნენ ოსმალოს მთავრობას გოგაძენი. ბევრნი ამათგანი მოშთობილ იქმნენ და ბევრნი გურიაში გაქცეულნი. დღესაც არიან აქ ამ გვარის ხალხნი, მაჰმადიანები, თავიანთის გვარებით დაშთენილი.

32, ლომსაძენი, 15 კომლი. ამ სოფლის მაღლა, ერთს ტყიანს მთაში, სდგას პატარა ეკკლესია. ამ სოფელში ძველად ლომსაძენი მდგარან, ბევრნი ამათგანი იმერეთში გაქცეულან.

33, კასტანგისძენი. 10 კომლი.

34, ტბეთი. 30 კომლი. ტბეთის ისტორიული ტაძარი აქ არა სდგას, ეს ტაძარი ამ ხეობის გაღმაა. ტბეთი კარგა დიდს ადგილებს, დიდს ხეობას ეწოდება. ამ სოფლის ეკკლესია მთლად დაქცეულა, აქა-იქ ქვები-ღა ჰყრია.

35, სამოლეთი. 15 კომლი.

36, მოფრინიძე. 20 კომლი. ამ სოფლის შესახებ მაჰმადიანები ამბობენ: თამარ-მეფის დროს ერთი კაცი ყოფილა, რომელიც აქეთ-იქით თამარ-მეფის წერილებს ატარებდა. ეს კაცი მეტად ჩქარი მოსიარულე იყო, ფრინველივით ფრინავდა. ამიტომ თამარ-მეფემ ამ კაცს „მოფრინიძე“ დაარქვა, ეს ადგილი საცხოვრებლად აჩუქა. ამ სოფელსაც მოფრინიძე ეწოდა.

37, დაკლაკიძე. 20 კომლი.

38, ცინარიძე. 25 კომლი. აქ არის დაშთენილი ფართო ეკკლესიის და ციხის ნანგრევი.

39, ჯაბანიძე. 20 კომლი. აქ არის დაშთენილი ეკკლესიის ნანგრევი. ალაგი და ქვები-ღა სჩანს.

40, ქიძინიძე. 20 კომლი.

ტბეთის გვერდით მირატის ხეობაა, ეს ისე ხევ-მთა-ტყიანი ადგილებია. აქეთ არის შემდეგი სოფლები:

41 დვანი, 40 კომლი. ამ სოფლის ეკკლესიის ადგილას სდგას ჯამე. ძველად აქ კარგი ეკკლესია ჰქონიათ.

42. ლომინაური. 20 კომლი. აქ ყოფილან ძველად ლომინაძეები, თათრობის გამო ზოგი ამათგანი იმერეთში გაქცეულან.

43, გოგინაური. 25 კომლი. ძველად ეკკლესია ყოფილა, მაგრამ მთლად დაუქცევიათ, ერთ ქვასაც ვერ იპოვით.

44, კვირიხიძე. 30 კომლი. ეკკლესიის ალაგას ჯამე სდგას.

45, კარაპეტ(!). 25 კომლი. ამბობენ, რომ ძველად აქ სომხები იდგ-

*) იხ. „ივერია“, № 217.

ნენო. ამათ თავიანთი ეკკლესიაც ჰქონდათო. ზოგი ამათგანი გათათრებულან და ზოგი აქედამ სხვაგან გაქცეულან. აქ სომხური ენისა და ტიპის არაფერი ნიშნებია დაშთენილი. სოფელი ნამდვილ მთიულ სოფელს მოგაგონებთ, მივარდნილ მიყრუებულს, სადაც ქართულის ენის მეტი სხვა არაფერი ისმის.

46, მოწყვალთა. 40 კომლი. ეკკლესიაზე ჯამე სდგას.

47, ჯუმუშაური. 10 კომლი. 1855 წ. აქედამ რამდენიმე კომლი ოსმალმა გადაასახლა წინააღმდეგობის გამო.

48, ოლდაური. 15 კომლი. აქ ცხოვრებს მოხუცი ჰაჯი-ლომინ ეფენდი ქარცივაძე. ეს გაიზარდა სტამბოლში, იქ დიდი ადგილი ეკავა—ხონთქრის კარის ჯამეში ხოჯად იყო და უფროს მასწავლებლად სულთან მამუდის სასულიერო სასწავლებელში 18 წელიწადს. ხანში შესვლის შემდეგ ეს თავის სამშობლოში დაბრუნდა და ხულაში სასულიერო სკოლა გამართა, სადაც 100-მდე ქართველ მოლებს ასწავლიდა. სულთნისაგან ამას თვეში ათი ოქრო პენსია ჰქონია. ეს რუსის მთავრობამაც პატივით მიიღო. ბევრი ძველებური ამბები იცის ამ პირმა, ნამეტურ გათათრების შესახებ.

49, პაპაშვილები. 15 კომლი.

50, მაღლაკიძე. 20 კომლი. ამ სოფლის ახლოს სდგას ძველი ციხე; ციხესთან ახლოს ნაეკკლესიარიც არის.

51, კობალთა. 10 კომლი. აქ ყოფილან ძველად კობალაძეები, აზნაურები. თათრობის დროს ზოგი ამათგანი გურია-იმერეთისკენ გაქცეულა და ზოგი ქართლში. ამათ საგვარეულო ეკკლესია და ციხე ჰქონიათ. აქ დღეს აღარაფერი სჩანს.

52, ქუთაური. 7 კომლი. ეს სოფელი ქოჩახთან სძევს.

53, დარჩიმეები. 40 კომლი. ძველს ეკკლესიაზე ჯამე დაუდგამთ. აქ დიდი ციხეა. სოფელს ზევით არის მთა, ყავახლულად წოდებული, სადაც ქრისტიანობის დროს დიდი ტაძარი ყოფილა, მაგრამ შემდეგ დაუქცევიათ. ეკკლესიის ქვები დღესაც ჰყრია აქა-იქ.

54, წყაროთა. 5 კომლი. ამას იქით ყალანის მთები იწყება.

55, შუბაანი. 20 კომლი.

56, ტომაშეთი 15 კომლი. ამ სოფელს ძველად ეკკლესია ჰქონია. ეკკლესია თათრობის დროს დაქცეულა. ეს სოფელი სძევს ქოჩახს ახლო ფოცხოვას მთებთან, სადაც იწყება ყირსის საოლქო ადგილები. აქ ზოგმა ქართული წერა-კითხვა იცის. ეხლა აღვწეროთ იმ ხეობათა ადგილებს, რაც სხალტის მარცხნივ სძევს, აღმოსავლით, და რაც ზეგანოს ნაწილს შეადგენს. დავიწყებთ ხულოიდგან.

ხულოის ხეობა ბევრად მშვენიერია ვინემც ზემოხსენებული ადგილები. აქ სულ ნაძვისა და კატარის ტუსებია, წყაროები მეტად ცივი, ხილი ბევრი, ჰაერი კარგი, პურისა და სიმინდის უხვი მოსავალი იცის, ავადმყოფობა იშვიათია, გარეული ნადირი და ფრინველიც ბევრი. ხულოის ხეობას აღმოსავლეთით ქვაბლიანი უძევს, ქვაბლიანს ძველით ფოცხოვი; დასავლით—აჭარა; ჩრდილოეთით—ქობულეთი, სამხრეთით—ტბეთის და მარრტის ხეობა შავშეთ-იმერხევის მთებითურთ. აქეთ აი, რა სოფლებია:

57, აგარა. 50 კომლი. აქ არის ეკკლესიის ნანგრევი. ეს სოფელი მეტად მშვენიერი სოფელია. მთელი ეს ხეობა და ნამეტურ აგარა ერთი დიდი წალკოტია.

58, სხეიხურა. 11 კომლი. აქ ძველად დიდი ციხე ყოფილა, სადაც აქაურნი შეაფარებდნენ ხოლმე თავს. ახლა აღარაფერი სჩანს.

59, სამახარო, 15 კომლი. ამ სოფელში ძველად მახარაძენი მდგარან. ბევრნი ამათგანი ქრისტიანობისთვის დახოცილან. ზოგნი გურია-იმერეთისაკენ გაქცეულან.

60, განაძეები. 10 კომლი. ძველად აქ ყოფილა დიდი და მშვენიერი თლილის ქვით ნაშენი ეკკლესია. ეს ეკკლესია პირველ გაქცევის გათათრების დროსვე დაუქცევიათ ოსმალებს. დაქცევის შემდეგ გამაჰმადიანებული ქართველები თლილ ქვებს მიეზიდებოდნენ სახლების ასაშენებლად. მაინც ნაეკკლესიარს ადგილს დიდძალი ნანგრევი ქვები დარჩენილა. 1889 წ. აქ იყო უვაროვისა და ამან გადაათხრევინა ეკკლესიის ნანგრევები, რაც 3,000 მ. დაუჯდაო, გამიგონია. ეკკლესიის იატაკი თლილის ქვით ნაგები აღმოჩნდა. მთელი იატაკი ააყრევინა, საფლავები გაათხრევინა, შიგ ერთი ლურჯი მარმარილოს ქვის ფიცარი იპოვნეს, რომელზედაც დახატული ყოფილა ღვთის მშობელი, გარშემო ფეხზედ მდგარნი ქართველი მეფეები და მხედრული წარწერა ჰქონია. ერთ ალაგას „შემოქმედი“ სწერია. იპოვნეს კიდევ ერთი ძველი პატარა ვერცხლის ხატი და სხვა ნივთები. რაც შესანიშნავი ქვები მოგროვდა, რომელზედაც-კი ჩუქურთმა და მხატვრობა აღმოჩნდა, ყველა ესენი ერთად შეკრიბეს და რუსეთს წაიღეს. სულ 100 ფუთამდე იყოვო. დღეს ამ ეკკლესიის ალაგას აღარაფერია და მთლად მიწით არის დაფარული. სოფლელებს მიწა მოუფენიათ და ჰხნავენ, დანარჩენი ქვებიც სულ აქეთ-იქით გადუყრიათ. ამ ეკკლესიას ვახუშტიც მოიხსენებს: აქებს, დიდს, შვენიერსა და კეთილნაგებს ეკკლესიას. სჩანს ეს ეკკლესია შემდეგ დაქცეულა.

ზ. ჭ.

(შემდეგი იქნება)

---

**სოფ. ბორჩხა**, 8 ოქტომბერი. წელს ეტყობა, როგორც ადამიანს, აგრეთვე საქონელსაც არ უწერია ჭირნახულით გაძღომა. ჩვენ გვალვას ვემდუროდით და ზენა ქარმა უარესი დღე დაგვაყენა: ამოვარდა 2 ღვინობისთვეს და დილიდგან დაწყებული საღამომდის ისე საშინლადა ჰქროდა, რომ სახლის კრამიტები პანტასავით ჩამოჰყარა. გვალვისაგან გამხმარი ხეები დაამტვრია. სახლები თუმცა დასცალეს, მაგრამ წაქცევით არ წაუქცევია და უბედურებაც არაფერი მომხდარა, მხოლოდ ქალ-ბალანამ დილიდგან საღამომდის მინდვრად გაატარა, რადგან სახლში შესვლა საშიში იყო. როგორც გვესმის სოფ. მარადიდიდგან დაწყებული ბათუმამდის სიმინდები სულ მიწაზე დააწვინა, ფოთოლი სულ ჩამოაცალა და აქაურებს ჩალის იმედი ჰქონდათ, მაგრამ ეს იმედიც გაუცუდდათ.

როგორც იყო, გაათავეს ჭირნახულის მოჭიდვა, მაგრამ რა ჭირნახულისა! სიმინდის ტარო არავის უნახავს, ჩალისთვის არ მოუცილებია და ან რა მოსაცილებელი იყო, როდესაც ტარო კაკალზედ დიდი არ არის. სასიმინდეს კარი არავის გაუღია. რითი ირჩინოს ფოხარამ თავი და ცოლშვილი—ვერ მოუფიქრიათ და ძნელი მოსაფიქრებელიც არის.

აქაც არ იქნება მგონია ურიგო სახელდობრივ დავასახელო ის სოფლებიც, სადაც ერთი-ორის თთვის სარჩოც არ მოუვიდათ. ამ სოფლების სახელს იმიტომ ვასახელებ, რომ თვალით მინახავს მუშაობაც და მოსავალიც: კინცხურეთი, კელასკური, არავეთი, სამეხრაო, ბორჩა, ცოცხობა, ქვადუეთი, არჩვეთი, კოსტანეთი, დაკვარა პანჭურეთი, მამანათი, დუზქოი, მაკრეთი, ბაშქოი, ბანავნა, შვახევია, ვალაშენი, სანათისი, პეტრული, დევსკელი, კვინტაული, ბაგინი, ადაგული (ეს სოფლები, რიცხვით-24, არის ბათუმის ოლქში. გონიის საბოქაულოა); ახალდაბა, ირსა, ბეშაული, კვარეხანი, სინკოტი, ვაზრია, ვარჯგან, ომანა, ურძუმა, ხატილა, კარტლა, ავანა, თხილაური, ორჯი, დამპალა, ტრაპენი, არხვა, ჟვანი და გეული (19 სოფელი ართვინის ოლქისა) და სხვაც კიდევ ბევრი.

ამ სოფლებში სხვა დროს თუთუნიც მოდიოდა გვარიანი, რომელიც ერთად-ერთ ცხოვრების წყაროს შეადგენდა. წელს თუთუნსაც იმისთანა დღე დაადგა, როგორც სიმინდს, თუ არ უარესი. წრეულს არამც თუ გასასყიდი, თავისი სამყოფიც არავის მოსვლია. მერე აქაური ქართველი მაჰმადიანები ძალიან ეწევიან თუთუნს, ათის წლის ბავშვიდგან დაწყებული, ყველა ეწევა, მაგრამ მოწევაც არის და მოწევაც. დილით საღამომდე, ლოგინშიაც-კი თუთუნს უნდა აბოლებდეს აქაური კაცი, თორემ დასაძრახისი შეიქმნება. სულ ნაკლებ რომ ვიანგარიშოთ, აქაურ კაცს დღეში $1/4$ გირვანქა თუთუნი არა ჰყოფნის.

მარტო აქაურობაში მეგონა ცუდი მოსავალი და თურმე ოსმალეთში უფრო სიმშილი ყოფილა, მომეტებულად—ბურსაში, სადაც უფრო მეტი აჭარლები არიან გადასახლებული. დღე არ იქნება, რომ იქიდგან მომსვლელი ხუთი-ექვსი კაცი არ მიადგეს აქაურ მცხოვრებს კარზე, პურის, სიმინდის, კაკლის და ლობიოს სათხოვნელად. იმათ ნახევარს, ვინცკი აქედგან წასულა, არც სახლი მოეპოვება და არც მიწა-წყალი, რომ იმუშაოს და ქალ-ბალანა გამოკვებოს. ღამით ისინი ჯამეებში ატარებენ და დღისით-კი მოედებიან სოფლებს ლუკმა პურის სათხოვნელად ბოშებსავით. ქალებს ხომ მანდილიც არ შერჩენიათ, რომ პირზე ჩამოიფარონ. ბევრს უნდა თურმე თავის სამშობლოში—აჭარაში დაბრუნება, მაგრამ ვინ გამოუშვებს, ან არა და იმ სიშორიდგან როგორ წამოიყვანოს შიშველი ქალ-ბალანა.

მე ვნახე ერთი ამ მათხოვართაგანი, მაგრამ ჩაცმულობით იმას ვერ შეატყობდით, რომ ბურსიდგან იყო თითო-ოროლა ოყა სიმინდის მოსათხოვად მოსული. ეცვა გვარიან სუფთად და ახალი საკო (პალტო), და თავზედ ეხურა ახალ მოდის ფესი, თითქმის ნახევარ არშინის სიმაღლე, (თუ გინახამთ, ბათუმში და ტრაპიზონში ჰხურამთ წინა კაცებს ყავახანებში იმისთანა ფესები). ვჰკითხე იმას, ბურსის ამბავი, რადგან ბევრი ნაცნობები მეგულებოდა აჭარლები, თუ როგორ არიან და რავა სცხოვრობდენ. იმან მითხრა ძალიან გლახად ცხოვრობენო, რადგან მიწა არა აქვსთ სამუშაო და კონალის დასადგმელიო. იმდენი ფულები ვის აქვს, რომ იქაურის მიწის სყიდვა შეიძლოსო. მაგრამ ისიც უნდა გითხრათ, რომ ამ ამბავს თავის დღეში არ გეტყვის აგრე თუ ვინმე მისი ნაცნობი და ხისიმი უყურებს და ესმის. ახლა უნდა გაიგოთ, რას ლაპარაკობს თავის ნათესავთან დ მეზობლებთან, სოფელ-სოფელში სიარულის დროს სათხოვრათ. ის აუწერს ბურსაში მაჰჯირების ყოფა-ცხოვრებას, ვითომ ამ დუნიაზე მარტო ბურსა იყო ჯენეთი (სამოთხე) და სამოთხესავით იყოს იქ საცხოვრებელი. მართლაც ბევრ მიყრუებულ სოფლელს აჯერებს და სჯერათ კიდეც იმის ნათქვამი და გული უვარდებათ ამის შემდეგ აქ ცხოვრებისთვის, ნებით იქნება თუ ძალით, დღისით იქნება თუ ღამით, ყველა იქითკენ აპირებს წასვლას ამისთანა ქადაგების შემდეგ. იმათის ქადაგების შემდეგ ხოჯა-მოლებიც, იქიდგან გადმოსულები, რომლებიც დგანან აქურ მეჩეთებში და ალოცებენ ხალხსა. იმათ მისცეს ნება ჯამეში ქადაგების დროს, მემრე თქვენ რაც გინდა ეჩიჩინოთ, აბა რას დაიჯერებს თქვენს ლაპარაკს, ხოჯის ჩაგონების შემდეგ.

ესეც-კი უნდა ვსთქვა, რომ ზოგი ოსმალეთიდგან მთხოვრად წამოსული მართლა გაჭირვებული არ არის.

მე ბევრი მინახავს ქვედა და ზედა აჭარაში და აქაც ამისთანა მათხოვრებს ორას ფუთამდის მოუკრებოს პური, სიმინდი, ლობიო და სხვა, ჩაეტანოს ბათუმში, გაეყიდოს, ათი-თხუთმეტი ცხრამანათიანი ლირა ჩაედოს ჯიბეში და ისე წაბრძანებულიყოს ოსმალეთში. ძალიან კაი ღვთის წყალობაა სწორედ: ორი-სამი თთვე კაი სჭამოს, კაი სხვას და ამდენი ოქროებიც ჩაიყაროს ჯიბეში და მადლობის მაგიერ აქაურ მცხოვრებს გული აუყაროს აქაურობაზედ და ოსმალეთისკენ მიეწეოდეს. არ იქნება ურიგო და უკანონო, რომ ყურადღება მიაქციონ ამისთანა მათხოვრებს. მართალია, მათხოვარი რომ კარზე მიადგება ადამიანს, რაც უნდა კაი ჩაცმული იყოს, მაინც უნდა მიაწოდოს რამე, მაგრამ იმისთანა მათხოვარა, რომელიც ხალხს გულს უყრის აქაურობაზედ და იქ შიმშილის მსხვერპლად უნდა გახადოს, ხოჯა-მოლების დახმარებით, არ იქნება ურიგო სამუდამოდ აილაგმოს.

ამას წინად ბათუმიდგან მოვდიოდი, კახაშრს მინდორში რომ მოვედი, იქ ორმოც მოსახლემდის შემხვდა: კაცი ცოლ შვილით და ბარგი-ბარხანით ოსმალეთში მიმავალი. ვნახე, ზოგს ცხენზე აეკიდა ბარგი დ ზოგსაც ზურგზედ, როგორც კაცებს, აგრეთვე ქალებს; ბათუმში ეჩქარებოდათ, „პარახოდს“ მივასწროთო, რადგან იმათში ზოგიერთი ნაცნობი გამოდგა ჩემი, დამიწყეს თვალ-ცრემლიანებმა ლოცვა დ გამოთხოვება. მართალი მოგახსენოთ, იმათმა ტირილმა მეც თვალში ცრემლი მომგვარა. ზოგიერთ ქალების ტირილ-ქვითინიც მესმოდა, რომლებიც ჩვენთან ახლოს იდგნენ ჩადრში გამოხვეულები. მე ვკითხე, რად მიხვალთ ოსმალეთში - მეთქი. იმათ მიპასუხეს: რა ვქნათ ბატონო, იქიდგან ხისიმები მოვიდნენ და გვიქეს იქ ყოფნაო; ხოჯა-მოლიებმაც გვირჩიეს, და ჩვენც მივალთო. მერე ვკითხე, თუ რამდენი ფულები ჰქონდა თითოს იმათგანს. იმათ მიპასუხეს, ათიდგან ოც-და-ათ ოქრომდე ექნება თითო მოსახლესაო. ბევრი ვურჩიე დარჩენილიყვნენ თავის მიწა-წყალზე, მაგრამ არ დაიშალეს.

თ. ჯაიანი

---

## ხალხური ლექსი

(ჩაწერილი მეთვალყურეს-მიერ)

ბარხუდაშვილი გოგია
მღრის დამწურავი ღონეა,
ორშაბათ დილა გათენდა
მუშა შეჰყარა ბევრია,
წავიდა ყანის სამკალად,
ძნა დააყუდა სველია,
მხარზე ჰკიდია სიათა,
თავით-ბოლომდინ ჭრელია.
დაჯდა, ნამგალი გალესა,
ფხაზე აუსვა ცერია,
ტახტის ძირს შემოუარა,
იქ შველი შემოჩვევია.
დიდ გუბის ტბაზე მივიდა,
წამოეშალა მტერია,
მიკუწ-მოკუწა ლეკები,
როგორც წალამი, წკნელია.
ლეკებში ერთი ბელადი
გმირი ნაიბი ერია,
გოგიას დასცა დამბაჩა—
ვითომ რწყილს არ უკბენია.
გოგია დაუტრიალდა,
ვით შევარდენი ფერია,
გადუდვა თავის სიათა,
ცივათ მოსწყვიტა წელია.
მოუსპო ნაიბ-ბელადსა
თავის გმირობის დღენია.
მაგრამ გოგიას ულვაშიც
იმ არე-მარეს ჰფენია!..

---

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გაზეთ „Рус. Жизнь“-ში დაბეჭდილია წერილი რუსეთში ახლად გავრცელებულ მწვალებელთა შესახებ. ეს მწვალებელნი თურმე სახელმწიფო ხარჯის გადახდის წინააღმდეგნი არიან. აი მოკლედ მათი მცნება:

ღმერთმა რომ დედა-მიწა შექმნა და ადამიანი გააჩინა და შემდეგ სამოთხიდგან განაძევა, მაშინვე მისცა მთელი დედა-მიწა და დედა-მიწის მოსავალი. აი სწორედ ეს არის ერთად ერთი უზენაესი კანონი, რომლის მადლითაც გლეხი და მუშა კაცი თვით უნდა იყოს პატრონი დედა-მიწისა. ასეც იყო კიდეც წინად. მაგრამ ანტიქრისტეს მავნე მოქმედების წყალობით ეს წესი შეიცვალა და მუშა კაცს წაერთვა ის დედამიწა, რომელიც თვით უფალმა მისცა. რამდენიც დრო გადის, ანტიქრისტე იმარჯვებს. მწვალებელთა აზრით, ანტიქრისტემ მთელს ქვეყანას ნისლი და ბურუსი მოჰფინა და ამიტომ ხელმწიფენი და მმართველნი ვერა ხედვენ და ვერ ისმენენ ღვთის კანონსა და სურვილს. სამღვდელოება და მოხელენი, ამ მწვალებელთა აზრით, ანტიქრისტეს მსახურნი და მის სურვილის ამსრულებელნი არიან.

ხალხს ეხლა ერთად ერთი საშუალება-ღა დარჩენია, რომ ანტიქრისტეს მონობისაგან განთავისუფლდეს—საჭიროა უარჰყოს ყველაფერი: კანონი, საზოგადოება, მთავრობა და სხვ. უპირველეს ყოვლისა ხალხი უნდა ერიდოს სამღვდელოებას, რომელიც ურთგულესი მონაა ანტიქრის-

ტესი. ეს მწვალებელნი სამხედრო ბეგარასაც უარჰყოფენ და ამბობენ, რაც შეიძლება შორს უნდა ვიყვნეთ ანტიქრისტეს მსახურებისაგანო.

ეს უცნაური მწვალებელნი, თურმე როგორც ჰქადაგებენ, მართლაც ისე იქცევიან: სახელმწიფო ხარჯს სრულიად არ იხდიან და როცა სახლს აუწერენ ხოლმე, უკელაფერს თავს ანებებენ და ტყეში იხიზნებიან.

ქრისტე სწამთ. ახალ აღთქმას კითხულობენ და ამბობენ, ჩვენ სწორედ ისე ვიქცევით, როგორც ქრისტემა ბმანაო.

**

ჟურნალ „Свѣтъ“-ის რედაქტორი კომაროვი იწერება პარიჟიდგან:

ამ დღეებში ვიყავ პარიჟის გაზეთების რედაქციებში, გავიცანი რედაქტორები და ვსცდილობდი გამეგო, როგორ მიდის საფრანგეთის გაზეთების საქმე, რა მმართველობას ადგანან და სხვ.

ბ ნ კომაროვის ცდას უქმად არ ჩაუვლია. იგი დარწმუნებულა, რომ ჟურნალ-გაზეთებს რუსეთში არა ნაკლებად აქვთ თავისუფლება, ვიდრე საფრანგეთში.

რუსეთშიო,—სწერს კომაროვი,—სრული თავისუფლება არის ბეჭდურ სიტყვისაო. მაგალითად, გრაფი ტოლსტოი თავისუფლად ჰბეჭდავს და ავრცელებს მთელს რუსეთში ისეთს წიგნებს, რომლებიც ინგლისში რომ დაბეჭდილიყო გამომცემელს უეჭველად ციხეში დაამწყვდევდნენ. როგორც მაგალითად, ინგლისში დაამწყვდეს გამომცემელი ზოლას რომანისა „ნანა“. გაზეთმა „Figaro“-მ კიდევ დაჰბეჭდა ტოლსტოის წერილი, რომელიც წინააღმდეგია სახელმწიფო წეს-წყობილებისა და თანაც დასძინა, ამ წერილს მხოლოდ იმიტომა ვბეჭდავთ, რომ ტოლსტოის მოძღვრება ძლიერ ახირებულიაო. ეს შენიშვნა Figaro-მ იმიტომ უძღვნა წერილს, რომ ცენზურისა შეჰშინებია.

ამ წერილის გამო გაზეთი Р. Ж. სწერს:

ბ-ნ კომაროვს ავიწყდება, რომ ტოლსტოის რუსეთში ჯერ ნება არ მისცეს „კრეიცერის სონატის დაბეჭდვისა“ და ეს წიგნი უწინ საფრანგეთში დაიბეჭდა და მერე რუსეთში. რაც შეეხება ტოლსტოის წერილს სახელმწიფო წეს-წყობილების წინააღმდეგ, ეს არაფერს ამტკიცებს, რადგანაც საფრანგეთში არსებობს ისეთი ჟურნალ-გაზეთები, რომელნიც უფრო უმწვერვალესს მოძღვრებასა ჰბეჭდავენ, ვიდრე ტოლსტოის წერილია.

## რუსეთი

გაზეთ С-Петерб. Вѣд. სიტყვით, რუსეთის მრეწველთ ახირებული თხოვნა მიურთმევიათ მთავრობისათვის.

აქამომდე, ამბობს გაზეთი, ჩვენი მექარხნეები იმასა სცდილობდნენ, რომ უცხოეთის იაფ ნაწარმოებთათვის კარი დაეკეტა მთავრობას, დიდის ბაჟით, რომ შინაურ ნაწარმოებისათვის ჯიბრი არ გაეწია და არ დაეძალა. ეხლა ისინი სცდილობენ მეორე გზითაც გაიმართონ ხელი: სამრეწველო მასალა არ უნდათ საზღვარ გარედ იგზავნებოდეს, რადგანაც შინაც საჭიროა, აქვე შევიმუშავებთო, და ამისათვის ამ მასალასაც, საზღვარს გარედ რომ მიაქვთ დიდი ბაჟი უნდა დაედოსო. სწორედ ამნაირი ქაღალდი მიურთმევიათ რავდენსამე მრეწველს ფინანსთა მინისტრისათვის და ჯერ-ჯერობით სთხოვენ, ბაჟი დაადეთ ჯაგარს, ფუთზედ 8 მან. და ძუას-5 მანათიო“.

სჩანს რუსეთის მრეწველთ უნდათ, ერთის მხრივ, იაფად იყიდონ მასალა და, მეორე მხრივ, იმ ფასად ჰყიდონ, როგორც მოისურვებენ, რადგანაც უცხოეთის საქონელი ხელს ვერ შეუშლის.

—

სასოფლო კანონის შესამუშავებლად განსაკუთრებული კომისია დაარსდება, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ფინანსთა, სახელმწიფო ქონებათა და შინაგან საქმეთა სამინისტროების წარმომადგენელნი. განზრახულია ამ კანონში მოთავსებულ იქმნას ყველა სამინისტროების განკარგულებანი, რაც-კი მეურნეობასა და სოფლელთა ყოფა-ცხოვრებას შეეხება.

დაარსებული კომისია, ნ. ი. სტოიანოვსკის თავმჯდომარეობით, რომელსაც საგნადა აქვს შესცვალოს საკასაციო საჩივართა განხილვის წესი და გამოარკვიოს რამდენად სასურველია, სენატის აზრი და განმარტება სავალდებულო იყოს სასამართლოებისათვის.

გაზეთი Н. В. ამბობს ამის შესახებ: ჩვენის საკასაციო დაწესებულების მოქმედებას ერთ გვარობა არ ეტყობა, მისი ახსნა-განმარტება ერთმანეთს ეწინააღმდეგება. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ სასამართლოს წინაშე ორივე მხარე სენატის გარდაწყვეტილებას წამოაყენებს. ერთი გარდაწყვეტილება ერთის სასარგებლოა, მეორე-მეორესი და სასამართლოებმა არ იციან, რომელ ერთს დაემყარნენ. სენატის გარდაწყვეტილება-კი დაბალ მოსამართლეთათვის სავალდებულოა.

ცხადია, რომ სენატის გარდაწყვეტილებას ძალა უნდა ჰქონდეს მხოლოდ იმ საქმეში, რომელიც სენატს განუხილავს, და არა ყოველ შემთხვევაში, თუმცა სამართალს ისეთი საქმეცა ჰქონდეს გასარჩევი, რომლის მინაგვარიცა სენატს განუხილავს.

—

პეტერბურგში 3 ოქტომბერს ყაზანის ტაძარში სალიტერატურო ფონდის კომიტეტის თაოსნობით გარდახდილ იქმნა პანაშვიდი რუსეთის განსვენებულის პოეტის ა. ნ. პლეშჩეევის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დიდძალი ხალხი დაესწრო. სხვათა შორის იყვნენ რუსეთის ცნობილი მწერალნი: სერგეევიჩი, სტანიუკევიჩი, პიპინი, სლუჩევსკი, მაქსიმოვი, სტასიულევიჩი, არსენიევი, მორდოვცევი, ვეინბერგი, მიხაილოვსკი, სკაბიჩევსკი, ზასოდიმსკი, ბარანცევიჩი, კარეევი, სპასოვიჩი, ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელნი, ახალგაზდა პოეტნი, ბელეტრისტები, არტისტნი და სხვ. იყვნენ აგრეთვე უნივერსიტეტებისა და სხვა უმაღლესს სასწავლებლების სტუდენტები. ქალებიც ბევრნი დაესწრნენ, მათ შორის განსვენებულის ასული ბარონესსა სტალ ფონ-ჰოლსტეინი.

## უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** „ელზას ლოტარინგიის“ საზოგადოების კომიტეტმა შემდეგი ადრესი გაუგზავნა ადმირალ აველანსა:

იმ დროს, როცა საფრანგეთის მიწაზედ ფეხს შესდგამთ, სადაც ყველანი დიდის აღტაცებით დაგიხვდებიან, ჩვენც, როგორც ჩვენი ყველა თანამემამულე, გილოცავთ საფრანგეთში მოსვლას ელზას-ლოტარინგიის ყველა საზოგადოებათა სახელით. ეს დღე, როცა მთელი საფრანგეთი აღტაცებით გეგებებათ, დარწმუნებულნი უნდა იყვნეთ, სასიხარულო იქმნება იმათთვის, ვინც უკეთესს დღეებს მოელის მომოვალში. თქვენმა სახელმწიფომ ამ ორის წლის წინად დაგვიმტკიცა თავისი მეგობრობა. ეს ჩვენ არაოდეს არ დაგვავიწყდება. სწორედ ამიტომ ვუერთდებით ჩვენც საფრანგეთსა და დიდად გვიხარიან თქვენი მოსვლა.

—

**იტალია.** რომიდგან იუწყებიან, რომ ინგლისის ესკადრა უკვე მისულა იტალიის ნავთ-სადგურებში. ამბობენ, რომ ამ ესკადრის მისვლის გამო დღესასწაულები არ გაიმართებაო.

—

**გერმანია.** გრაფი კაპრივი კარლსბადს გაემგზავრა. ოფიციალურ ცნობებიდგანა სჩანს, რომ გრაფ ტააფესთვის იმპერატორს უბრძანებია, თუ ვინიცობაა უმთავრესა კანონპროექტი მთავრობისა ავსტრიის პარლამენტმა არ შეიწყნაროს, პარლამენტი დაითხოვეო.

ბერლინის გაზეთები აქამდე ხმას არ იღებდნენ ტულონის დღესასწაულების შესახებ, ხოლო ეხლა-კი ყველანი იმას ამბობენ, რუსეთი იმიტომ დაუმეგობრდა საფრანგეთს, რომ ამ ორსავე სახელმწიფოს ძლიერა სძულს ეხლა გერმანიაო. ახალი მეგობრებიო, —სწერენ ბერლინის გაზეთები,—ძლიერ ბევრსა ჰყვირიან მეგობრობაზედ, ხოლო გულში-კი სულ სხვასა ჰფიქრობენ. ამასაც ამბობენ, ტულონსა და კოპენჰაგენში მომხდარ ამბებს ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ჯერჯერობით-კი საშიში არა არისრაო.

—

**ავსტრი-უნგრეთი.** მინისტრ-პრეზიდენტმა ტააფემ სრულიად მოულოდნელად წარუდგინა პარლამენტს, შემოდგომის სესსიის დაწყებისათანავე, ახალი საარჩევნო პროექტი, რომელიც, ეჭვი არ არის, დიდს კამათობას გამოიწვევს, რადგანაც ზოგი დასი პარლამენტისა ახალის პროექტით ძალიან უნდა შესუსტდეს.

აი რაში მდგომარეობს ეს ახალი პროექტი.

დღემდე დეპუტატების არჩევნებში ხმა და კენჭი ჰქონდა ყველა მამაკაცს, როდესაც-კი 24 წლისა გახდებოდა. დანარჩენი პირობები კენჭის მიღებისა ყველა პროვინციისათვის საკუთარ კანონით იყო განსაზღვრული. საერთოდ-კი ერთი პირობა იყო აუცილებლად საჭირო, რომ კენჭი მხოლოდ იმას ეძლეოდა, ვინც სახელმწიფოს სასარგებლოდ 5 გულდენზედ არა ნაკლებს იხდიდა პირდა-პირ ხარჯს.

ტააფეს პროექტით-კი კენჭი ეძლევა ყველს: 1, ვინც მტერთან ომში ყოფილა, ანუ მედალი მიუღია, ან კიდევ უნტერ-აფიცრის ღირსება აქვს. 2, მოქალაქეთ, რომელთაც წერა-კითხვა იციან ერთს რომელსამე სახელმწიფოში საეროდ აღიარებულს ენაზედ და ჯარში ჩასარიცხად გამოცხადებულან, და 3, მოქალაქეთ, რომელთაც საარჩევნო ოლქში ნახევარ წელიწადი უცხოვრიათ და სახელმწიფო ხარჯს იხდიან, ცოტაც რომ იყოს, ან არა და რომელიმე მუდმივი ხელობა აურჩევიათ საცხოვრებლად.

„Arbeiter Zeitung“-ის გამოანგარიშებით, ტააფეს პროექტი ამომრჩეველთა რიცხვს 1,750,000-დგან ოთხ-მილიონ ნახევრამდე აიყვანს, სხვა გაზეთების სიტყვით-კი—ხუთ მილიონამდეც.

„Politik“-ის ანგარიშით დეპუტატთა რიცხვი ასე განაწილდება ავსტრიის ქვეშევრდომ ერთა შორის: ბოგემიას ეყოლება 55 დეპუტატი (45 მაგიერ), ნემცებს—97 (122 მაგიერ), პოლონელთ—35 (31 მაგიერ), რუსინებს—30 (8 მაგიერ), სლოვენელთ—13 (14 მაგიერ), ხორვატებსა და სერბიელთ—7 (10 მაგიერ), იტალიელთ—8 (10 მაგიერ) და რუმინიელთ—2 (5 მაგიერ).

გაზეთები ამბობენ, რომ ახალ პროექტით ყველაზე მეტად ნემცების დასი შესუსტდება. უფრო საოცარიკი ის არისო, რომ ტააფე დღემდე სამეფო ტახტისა მის ერთგულ არისტოკრატებისთვის იღვწოდა; ეხლა-კი ისეთი პროექტი შეიმუშავა, რომელიც მუშა ხალხსა და დემოკრატებს აძლევს საშუალებას, რომ პარლამენტში მეტი წარმომადგენელი იყოლიოს.

—

**ისპანია.** რუსეთის გემს „ტერეცს“ ბარსელონაში დიდის აღტაცებით მიეგებნენ იქაურნი მცხოვრებნი ფრანგები და ისპანიელნი. მადლობის ნიშნად გემის „ტერეცის“ უფროსმა გაუმართა ისპანიელებსა და ფრანგებს სადილი, რომელზედაც წარმოთქმულ იქმნა სადღეგრძელოები რუსეთისა, ისპანიისა და საფრანგეთისა.

### უცხოეთის წვრილი ამბავი

—

ოფიციალურ ცნობებიდგანა სჩანს, რომ ლონდონის ახლოს დაბა გრინვიჩში 3 ოქტომბერს 11 კაცი გამხდარა ავად ხოლერით, ხოლო ამათში არავინ გარდაცვლილა.

**

ოსმალეთის ხაზინამ საფრანგეთის ქვეშევრდომ პერპინიაკისაგან იყიდა ორი წერილი მაჰმადისა და წერილებში ძლიერ დიდი ფულიც მისცა. სტამბოლის მსწავლულები ამტკიცებენ, ეს წერილი ნამდვილად მაჰმადის დაწერილიაო.

**

საფრანგეთის მთავრობამ გადასწყვიტა, ამ დღეებში გარდაცვალებულ მარშალის მაკ-მაჰონის გვამი თავის ხარჯით დაასაფლაოს.

### ოფიციალური ცნობა ხოლერის შესახებ

9 ოქტომბერს დილით მიხეილის საავადმყოფოში 5 ავადმყოფი იყო. ამ დღეს ავად არავინ გამხდარა, არც ავადმყოფთაგანი მორჩენილა და არც გარდაცვლილა.

10 ოქტომბერს ავად გახდა რიყეზე ერთი კაცი, რომელიც მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

იმავე დღეს მიხეილის საავადმყოფოში ერთი ხოლერით ავადმყოფი გარდაიცვალა.

### გამოსადეგი ცნობანი

—

ხორცისა და რძის შენახვა ბევრს ემნელება, მეტადრე ზაფხულში, ვისაც ცივი მარანი და საყინულე არა აქვს. ამაზედ ადვილი-კი არა არის-რა.

ჩაასხით ნალებ მოხდილი რძე, რომელიც შემდეგ თავის-თავად აიჭრება. ჩასდეთ ხორცი, ქვა დაადეთ, რომ რძე ჰფარავდეს და შეინახეთ. ამ რიგად ხორცი ერთს კვირას შეინახება და ცუდი გემოც არ მიეცემა. ხორცი რომ ამოიღოთ მოსახმარებლად, კარგად გაავლეთ ცივ წყალში და ტილოთი შეამშრალეთ.

რძის შესანახად, რომ არ აიჭრას და არ შედედდეს, საკმარისია შიგ ჰარდლის რავდენიმე ფოთოლი ჩასდოთ.

—

კოღოს წამალი. ბევრს ადგილს კოღო მეტად ბევრია და ადამიანს მოსვენებას არ აძლევს არც დღე და არც ღამე. საკმარისია საწოლთან კედელს კარბოლის წყალი ასხუროთ და პირსა და ხელზე წაისვათ, რომ კოღო აღარ მოგეკაროთ, რადგანაც კოღოს კარბოლის სუნი ძალიან ეჯავრება. ესევე წამალი შეგიძლიანთ დღისითაც იხმაროთ შინ თუ მინდვრად.

პეტერბურგის ბირჟა, 8 ოქტომბ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,65 | 7,68 | — ,, |
| ტამოყნის კუპონები . | 153 | $153\frac{3}{4}$ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | $240\frac{1}{4}$ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | $216\frac{1}{2}$ |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | $192\frac{1}{4}$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6%. . . . . . | — ,, | $100\frac{1}{2}$ | — ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | 99 | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | — ,, | $100\frac{1}{4}$ | — ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | 99 | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | $98\frac{1}{4}$ | — ,, |

### გამოსადეგი ცნობანი

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 52 წ. საღ.

. . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 20 წ შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . . 5 ს. 50 წ. საღ.

**ტფილისსა და განჯას შუა.**

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მოდის „ . . 1 ს. 30 წ. დილ.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ. ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

**მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ**

ბათუმიდამ გადის:

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 12 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში კერჩში და ყველა ნავთსადგურში ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: ღამის 2 საათზედ.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პარასკეობით: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

ფოთში მოდის:

ბათუმიდგან საფოსტო და სახალხო კვირა დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალხო.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

ფოთიდგან გადის:

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

—


# განცხადებანი

## კბილის ექიმი
## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—112)



ამხანაგობა „ჰიგიენა“

ლიზოლინი

ცუდის სუნის მომსპობი წამალი

ნება-დართულია პეტერბურგის ექიმთა გამგეობისაგან. ისყიდება ყველა საუკეთესო აფთიაქის მაღაზიებში. ბლომად დაკვეთა შეიძლება

პეტერბურგის

სატეხნიკო ქიმიურ ლაბორატორიისაგან

С.-П.-Б. площ. Александринск. театра, 9.

Москва, Никольская, д. Шереметьева.

Варшава, Новый Свѣтъ, 37.



ИЗВѢСТНОЕ СВОИМЪ КАЧЕСТВОМЪ

ГЛИЦЕРИНОВОЕ МЫЛО

и

ВСЕВОЗМОЖНЫЕ БЛАГОВОННЫЕ

и

КОСМЕТИЧЕСКІЕ ТОВАРЫ

ФАБРИКИ

БРОКАРЪ и К°

можно получать во всѣхъ лучшихъ магазинахъ

РОССІЙСКОЙ ИМПЕРІИ.

ЗУБНЫЯ СРЕДСТВА

ЗУБНАГО ВРАЧА

АДЭЛЬСГЕЙМЪ

Москва, Кузнецкій мостъ, д. бр. Джамгаровыхъ

Склады во всѣхъ городахъ Россіи

Чистка и гигіена зубовъ

Главный складъ и контора Большая Дмитровка соб. д.



# გამოსადეგი ცნობანი

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(გუგიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

ყ. მ. ჩიქოვანი, 9—10½ საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10½—11½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და. დედათა სქესისა.

ი. ფ პრობტასევიჩი, 11½—12½ საათამდის, სნეულებანი: ყურ-ს, ყელის და ცხვირისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ი. გ. ჩეპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: გულ-მკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ა. გურკო, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი) და ვენერიული.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ქ. ი. ფრანციუსი, 7—7½ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის — მორიგებით. სამკურნალოს საწოლიც აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.



1894 წლის იანვრიდგან

გამოვა ყოველ თვიური ქართული ჟურნალი

# „მოამბე“

შემდეგის პროგრამმით:

I სიტყვა-კაზმული მწერლობა ორიგინალი და ნათარგმნი რუსულიდან და უცხო ენებიდან: რომანები, მოთხრობები, ამბები, ლექსები, პოემები, დრამატიული თხზულებანი და სახალხო სიტყვიერების ნაწარმოები.

II ისტორია, გეოგრაფია, არქეოლოგია, ბიოგრაფია შესანიშნავის კაცებისა, საერო მეურნეობა, მართლ მსაჯულება, შესანიშნავი სამჯავრო პროცესები

III სასოფლო მეურნეობა: სასოფლო მეურნეობისა და მრეწველობის შესახებ სტატიები და კორესპონდენციები.

IV კრიტიკა და ბიბლიოგრაფია ქართულის, რუსულისა და უცხოეთის სალიტერატურო და სამეცნიერო თხზულებათა შესახებ.

V ქრონიკა: ახალი ამბები შინაურის და უცხო ქვეყნების ცხოვრებიდან.

VI ნარევი.

VII განცხადებანი.

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

ერთის წლით—10 მან., ექვსის თვით—6 მ., სამის თვით—4 მ.

ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ:

აკაკი, ნ. ავალიშვილი, არაგვისპირელი (ფსევდონიმი), ი. ბაქრაძე კ. ბაქრაძე, ბაჩანა (ფსევდონიმი), ეკ. გაბაშვილისა, ი. გოგებაშვილი, დონ-იაგო (ფსევდონიმი), დუტუ მეგრელი (ფსევდონიმი), დიმ. ერისთავი, ვაჟა-ფშაველა (ფსევდონიმი), გრ. ვოლსკი, თავისუფალი სვანი (ფსევდონიმი), ექ. თაყაიშვილი, გ. იოსელიანი, დ. კარიჭაშვილი, კირ. ლორთქიფანიძე, გ. მაიაშვილი (ფსევდონიმი), პროფესორი ნ. მარრი, სოფ. მგალობლიშვილი, მეველე (ფსევდონიმი), მელანია (ფსევდონიმი), პროფესორი პ. მელიქიშვილი, ი. მესხი, ნ. მთვარელიშვილი, შ. მღვიმელი (ფსევდონიმი), ა. ნანეიშვილი, ი. ნიკოლაიშვილი, ნ. ნიკოლაძე, ე. ნინოშვილი (ფსევდონიმი). ნინო ორბელიანისა, თ. რაზიკაშვილი, გ. საძაგლიშვილი, პ. უმიკაშვილი, ნ. ურბნელი (ფსევდონიმი), ი. ფერაძე, ა. ფრონელი (ფსევდონიმი), ან. ფურცელაძე, ს. ღოღობერიძე, მ. ყიფიანი, ს. ყიფიანი. გრ. ყიფშიძე, ი. ჩიქოვანი, ცახელი (ფსევდონიმი), ანას. წერეთლისა, გ. წერეთელი, ილ. ჭავჭავაძე, ა. ჭიჭინაძე, ა. ხახანაშვილი, მ. ხელთუფლიშვილი, ი. ხონელი (ფსევდონიმი). ნ. ხუდადოვი, ს. ხუნდაძე, ა. ჯაბადარი, ი. ჯაბადარი, მ. ჯანაშვილი და სხვანი.

ხელის მოწერა მიიღება თვით რედაქციაში, რომელსაც უნდა მიჰმართოს შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинскаго журнала „Моамбе“.

ჟურნალში დასაბეჭდი წერილები და სტატიები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელნაწერები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებული და ან შესწორებული იქმნება. ხელნაწერები, რომელიც არ დაიბეჭდება, პატრონებმა რედაქციაში უნდა მოიკითხონ ერთის თვის განმავლობაში; მერე კი ველარ მოსთხოვენ რედაქციას. არავითარ მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელნაწერების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდან სამ საათამდის ნაშუადღევს.

რედაქცია იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ, № 13. ადრესი ტელეგრამებისათვის: Тифлисъ, Редакція «Моамбе».

რედაქტორი ალექსანდრე ჭყონია

გამომცემელი ნიკოლოზ ღოღობერიძე





„ნევის პარიზები“

დუხები—„ნევის კაპრიზი“

ოდეკოლონი—„ნევის კაპრიზი“

საპონი—„ნევის კაპრიზი“

„მიუსკ“ დუხები | ახალი ამბავი ს.-პეტერბურგის | „მიუსკ“ საპ. დ ოდეკ.

სატეხნიკო და სახიმიო ლაბორატორიისა.

„კაპრიზ ნევის“ გასაკეთებელს იარაღს მრავალი კარგი ღირსება აქვს და დამზადებულია ქ. ჩიკაგოს გამოფენისათვის.

საწყობები: С.-ПЕТЕРБУРГЪ, площадь Александринскаго театра, 9.

Москва, Никольская, д. Шереметьева.

Варшава, Новый Свѣтъ, 37, და საუკეთესო რუსეთის მაღაზიებში

(50—14)



Въ Б. Жуковскій С.-Петербургъ 10. рота, 16.

უმთავრესი წარმომადგენელი წისქვილის თვლების ფაბრიკისა ე. ტრაპპისა.

ტრაპპის ფაბრიკის მიერ ბოგემიაში გაკეთებული წისქვილის თვლები საუცხოვო გამოდგა. ამ თვლებით სამჯერ უფრო მეტი იფქვის, ვიდრე სხვა ფაბრიკის გაკეთებულ თვლებით, 8 საათის განმავლობაში ფქვავს 600 (ექვსას) ფუთს.

Ревель А. Брокгаузенъ

პრეისკურანტები და სხვა და სხვა დამარწმუნებელი ქაღალდები მსურველს საჩქაროდ გაეგზავნება.

VÉRITABLE BÉNÉDICTINE

(ნამდვილი ლიკიორი ბენიდიქტნი)

Fécamp-ის სააბატოსი (საფრანგეთში)

საუცხოო, ადამიანის მომღონიერებელი, საჭმლის მონელების ხელ-შემწყობი და მადის აღმძვრელი.

უპირატესი საუკეთესო ლიკიორთა შორის



VÉRITABLE LIQUEUR BÉNÉDICTINE
Marques déposées en France et à l'Étranger
A. Legrand aîné

ყოველთვის მოითხოვეთ, რომ ოთხ-კუთხი იარლიკი ჰქონდეს დაკრული ბოთლს ქვემოდგან, უფროსის დირექტორის მიერ ხელ-მოწერილი.

ისყიდება საუკეთესო გასტრონომიის მაღაზიებში დ ყოველ ქალაქის უმთავრესს ღვინის საწყობებში.

ВЫШЕЛЪ и РАЗСЫЛАЕТСЯ ПОДПИСЧИКАМЪ

73-Й ВЫПУСКЪ

(насосы—нерсесовъ)

настольнаго

ЭНЦИКЛОПЕДИЧЕСКАГО СЛОВАРЯ

Изд. съ 44-го выпуска т-ва А. Гранатъ и К°, бывш. т-ва А. Гарбель и К°.

Изданіе обнимаетъ всѣ отрасли знанія и стремится содѣйствовать самообразованію и болѣе широкому и всестороннему развитію. Отдѣлы русской исторіи и современной жизни, исторіи русской и всеобщей литературы, политической экономіи, дѣйствущаго законодательства, искуства, медицины и техники разрабатываются особенно подробно.

Все изданіе составитъ 108—115 выпусковъ или 8 томовъ по 13—14 вып. **Вышло 72 вып.** (5 томовъ и 2 вып. шестаго) **до слова Насоновъ.** Въ вышедшихъ выпускахъ **помѣщено 59,508 статей и замѣтокъ,** текстъ иллюстрированъ **1,090 портретами и рисунками,** географическими картами, выполненными картографическимъ заведеніемъ Теодора Гофмана въ Герѣ, хромо- и олеографіями, выполн. библіографическимъ институтомъ Мейера въ Лейпцигѣ, и таблицами рисунковъ. Съ пятаго тома для лучшаго ознакомленія съ великами произведеніями искуства прилагаются автотипическіе **снимки съ картинъ классическихъ художниковъ;** серія 1-я содержитъ копіи съ картинъ Клода Лоррена, Леонардо да-Винчи, Мантенья, Микель-Анджело, Мурильо. Копіи фотографированы съ оригиналовъ Браунъ и К° въ Дорнахѣ и Парижѣ, автотипіи Ангерера и Гешеля въ Вѣнѣ, печать художественнаго и библіографическаго института Фр. Брукмана преемн. въ Мюнхенѣ. Всѣхъ серій будетъ 4.

**Цѣна тому** въ изящн. коленкоровомъ переплетѣ **на обыкновенной бумагѣ 4 р. 50 к., на лучшей бумагѣ 6 р.; цѣна выпуску** на обыкновенной бумагѣ **30 к.;** на лучшей бумагѣ **40 к.** За пересылку приплачивается 10 к. на каждый рубль стоимости. **Учащіе, учащіеся и учебныя заведенія пользуются уступкою въ размѣрѣ 10%. По окончаніи изданія цѣна будетъ повышена.**

**Гг. служащіе въ казенныхъ, общественныхъ и частныхъ учрежденіяхъ пользуются разсрочкой** на слѣдующихъ условіяхъ: при подпискѣ вносятъ **3 р. 60 к.** для экземпляра на обыкн. бум. и **4 р. 80 к.** для экземпляра на лучшей бум. и, представивъ ручательство казначея въ аккуратномъ платежѣ мѣсячныхъ взносовъ, получаютъ немедленно первые 4 тома изданія; затѣмъ уплачиваютъ ежемѣсячно, въ теченіе 12 мѣсяцевъ, по **1 р. 20 к.** для экземпл. на обыкн. бум. и по **1 р. 60 к.** для экземпл. на лучшей бум. Расходы по пересылкѣ оплачиваются также ежемѣсячными взносами по **15 к.** для экз. на обыкн. бум. и **20к.** для экз. на лучш. бум. На послѣдующую половину изданія допускается разсрочка на такихъ же условіяхъ.

**Частныя лица,** пользуясь **разсрочкой,** получаютъ или 1) ежемѣсячно по 5 вып. съ наложеннымъ платежемъ въ **1** р. **50 к.** для экз. на обыкн. бум. и въ 2 р. для экз. на лучш. бум. и на расходы по пересылкѣ, или 2) каждые 2 или 3 мѣсяца—по переплетенному тому съ наложеннымъ платежемъ въ 4 р. 50 к. для экз. на обыкн. бум. и въ 6 р. для экз. на лучш. бум. и на расходы по пересылкѣ.

Подробные проспекты съ отзывами печати и выдержками изъ текста высылаются по требованіямъ безплатно.

Главная контора: Москва, Долгоруковскій пер., 8.


Доз. ценз. Тифлисъ, 11-го Октября 1893 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე